ხელშეკრულება № 06-88

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 12 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ირინე მჭედლიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ფორმატი, მისი დირექტორის _____, (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია საბიუჯეტო შემოსავლებით საკანცელარიო საქონლის შესყიდვა ხელშეკრულების დანართის შესაბამისად (CPV:22800000, 30100000, 24900000, 44400000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 326,85 (სამასოცდაექვსი ლარი და 85 თეთრი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიღების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N71

4.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდება უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით

დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხო საქონლის ცვლილება ხარისხიანით შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკანცელარიო საქონლის მიწოდება.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორი ან მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე საქონლის ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ

სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 201 წლის 30 იანვრის ჩათვლით. (ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღმეტებოდეს საქონლის მიწოდების ვადას)

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლა ს/კ 204859741 მის. : ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N71 ტელ:591413208 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE88LB0121110594245000 **დირექტორი: ირინე მჭედლიძე** _____ (ხელმოწერა) ბ.ა	**მიმწოდებელი:** შპს. ფორმატი ს/კ 204872575 მის.:თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE42TB0600000002467773 **დირექტორი:** _____ (ხელმოწერა)

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორის–ირინე მჭედლიძის სახით, შემდგომში შემსყიდველი და მეორის მხრივ იურიდიული პირი შპს ფორმატი, მისი დირექტორის ---------- სახით, შემდეგში მომწოდებელი – 2016 წლის ---დეკემბერს მიმწოდებელმა დეფექტების გარეშე გადასცა და შემსყიდველმა ჩაიბარა შემდეგი დასახელების საქონელი:

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	9151455 კონვერტი	ცალი	100	0.15	15.00
2	963513 წებო მშრალი, Ca-9535, 35გრ.	ცალი	5	2.00	10.00
3	403424 ფაილი გამჭირვალე ბანდერის ,SAN-403424, A4x100.25მკრ	ცალი	15	2.20	33.00
4	300119 სკოჩი პატარა, De-30011, 12მმX12მ. გამჭვირვალე	ცალი	5	0.15	0.75
5	301819 სკოჩი შესაფუთი, De-30181, 45მმx40მ. გამჭვირვალე	ცალი	4	0.90	3.60
6	9151012 რვეული სასკოლო, A4, 151012, 96ფ/#	ცალი	15	2.00	30.00
7	983238 ბაინდერი A4, Es-9940,Esselte, განიერი, ჩას. ფირნიშით, ლურჯი	ცალი	30	4.40	132.00
8	831553 სწრაფჩამკერი პლასტიკური, L-4189-35,"Leitz", A4, ლურჯი	ცალი	150	0.55	82.50
9	991515 პერმანენტ მარკერი Ca-9915, შავი	ცალი	1	0.50	0.50
10	9150474 ფლიპჩარტის ქაღალდი, 56021, 60X84სმ. 20ფ.	ცალი	3	6.00	18.00
11	38325501 პერმანენტ მარკერი De-S550, წითელი	ცალი	1	0.50	0.50
12	991614 პერმანენტ მარკერი Ca-9915, ლურჯი	ცალი	2	0.50	1.00
	სულ:				326.85

დირექტორი: ირინე მჭედლიძე

იურიდიული პირი
შპს ფორმატი